შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/235
03/06/2019

235-04-2-201906031624

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“

დირექტორს ბატონ გიორგი ჩოგოვაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებულ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომლის საქმიანობასაც საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა. ასევე კომპანია პასუხისმგებელია მოქმედი ნაგავსაყრელების ეტაპობრივ დახურვაზე და ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონალური არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა, მართვაზე.

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილია ევროპული სტანდარტების შესაბამისი იმერეთის რეგიონალური არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობა. აღნიშნული ნაგავსაყრელის მოსაწყობად სხვა ტერიტორიებთან ერთად განიხილება წყალტუბოს რაიონი, სოფელ მუხიანის მიმდებარედ არსებული სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი: 29.13.36.147 და 29.13.01.509).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნაგავსაყრელის მოსაწყობათ შერჩეული ზემოხსენებული ტერიტორია მდებარეობს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საკუთრებაში არსებულ დავით აღმაშენებელის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ, საქართველოს კანონის „საქართველოს საჰაერო კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აეროპორტების განლაგების რეგიონში შენობების, კავშირგაბმულობისა და ელექტრო გადამცემი ხაზების, რადიოტექნიკური საშუალებებისა და სხვა ობიექტების მფლობელები ვალდებულნი არიან მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ეს საკითხი შეათანხმონ აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან. შესათანხმებლად წარმოგიდგენთ აღნიშნულ საკითხს და გთხოვთ თქვენს მოსაზრებას ზემოხენებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 29.13.36.147 და 29.13.01.509) ევროპული სტანდარტების შესაბამისი იმერეთის რეგიონალური არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
"UNITED AIRPORTS OF GEORGIA" LLC

N 430
04/06/2019

430-1-2-201906041623

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის"
დირექტორს ბატონ გიორგი შუხოშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2019 წლის 3 ივნისის N 04/235 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდით 29.13.36.147 და 29.13.01.509, მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღუდველი აფრნა-დაფრენის ზედაპირის ფარგლებში და მასზედ დასაშვებია ისეთი ობიექტის განთავსება რომლის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან არ აღემატება +198 მეტრს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობამ არ უნდა გამოიწვიოს კვამლის ან მტვერის წარმოქმნა, აგრეთვე ველური ბუნების წარმომადგენლების აქტიურობის მკვეთრი მატება და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფრინველების არამიმზიდველუნარიანი გარემო.

საქართველოს საჰაერო კოდექსის მუხლი 41 „აეროდრომის რაიონში მიწათსარგებლობა და ობიექტის მშენებლობა" თანახმად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის განთავსებამდე, გთხოვთ შესათანხმებლად წარმოადგინოთ ასაშენებლი შენობა-ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

კონსტანტინე ქათამაძე

დირექტორის პირველი მოადგილე

AIRPORTS.GE
ქ.თბილისი 0158; სამგორის რ-ნი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი 0158, AIRPORT, TBILISI, GEORGIA +995 32 2 48 73 00 info@airports.ge

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/248
13/06/2019

248-04-2-201906131640

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“

დირექტორის პირველ მოადგილეს

ბატონ კონსტანტინე ქათამაძეს

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი მიმდინარე წლის 04 ივნისის N430 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ როგორც იმერეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მომავალი ოპერატორი იღებს ვალდებულებას განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები: პოლიგონზე ფრინველებისა და ცხოველების მოზიდვის საშიშროების აღკვეთის ზომები, მათი (ფრინველებისა და ცხოველების) რეგულირების გეგმის შემუშავება და რიცხოვნობის კონტროლის/მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნული მიზნით კომპანია იღებს ვალდებულებას:

- აწარმოოს ფრინველთა და ცხოველთა რაოდენობის მონიტორინგი შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ფრინველის სახეობისა და ახლომახლო არსებული ალტერნატიული საბუდარი ადგილების გათვალისწინებით;
- განახორციელოს ნაგავსაყრელი უბნის დაგეგმვა, მათ შორის წვიმის წყლების მართვა, რაც ხელს შეუშლის ზედაპირული წყლის დატბორვას და ფრინველებს შეუზღუდავს წყლის წყაროს;
- აწარმოოს ფრინველთა რიცხოვნობის კონტროლი სპეციალური რეპელენტების გამოყენებით;
- განახორციელოს ფრინველების მართვა აპრობირებული ტექნიკის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ვიზუალური ზემოქმედებით დაფთხობას (ფრინველებზე მონადირეების მოდელებს, უძრავ ან ანიმაციურს), ხმოვან სიგნალებს, ფიზიკურ ზღუდეებს (წვრილუჯრედოვან მავთულის ბადეებს) და სხვა;
- აწარმოოს რეპელენტების ეფექტურობის მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი შესაბამისი შეცვლა;
- ნაგავსაყრელის ოპერირების პროცესში მოახდინოს ყოველდღიური გადაფარვა მიწის გრუნტით (კანონმდებლობის მოთხოვნის შეაბამისად) რაც შეუზღუდავს ფრინველებს საკვების წყაროს;
- ნაგავსაყრელი გადაიფარება ყოველდღე, როგორც ნიადაგის ფენით ასევე ალტერნატიული საყოფაცხოვრებო ნარჩენების საფარით (სუსპენზია, რომელიც შედგება ბუნებრივი წარმოშობის სინთეზური და ბოჭკოვანი პოლიმერული მასალის ცელულოზის ბოჭკოებისაგან)

ამდენად, იმერეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების მშენებლობის პროექტის შემუშავების დროს კომპანიის მიერ (საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით) შეფასდება ფრინველებისა და ცხოველების მოზიდვის გაზრდის მოსალოდნელი რისკები და განისაზღვრება შემარბილებელი ღონისძიებები. ხოლო რაც შეეხება განსათავსებელი ობიექტის აბსოლუტურ სიმაღლეს ზღვის დონიდან იგი არ აღემატება +198 მეტრს. აღნიშნული ნაგავსაყრელის მოწყობა განხორციელდება „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ინფრასტრუქტურის შენობა ნაგებობების სიმაღლეს (სადისპეჩერო, საოპერაციო, სახელოსნი, მანქანა-მექანიზმების ფარდული და სხვა ) არ აღემატება 7 მეტრს.

საქართველოს საჰაერო კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე შესათანხმებლათ წარმოგიდგენთ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ასაშენებელი შენობა ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციას.

გთხოვთ თქვენს თანხმობას

დანართი: 1 CD დისკი (არასახიფთო ნარჩენების ნაგავსაყრელის პროექტი)

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/286
02/07/2019

286-04-2-201907021631

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“

დირექტორის პირველ მოადგილეს

ბატონ კონსტანტინე ქათამაძეს

ბატონო კონსტანტინე,

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ 2019 წლის 13 ივნისის N04/248 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ იმერეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის უკიდურესი დასავლეთის საზღვარი არ გაცდება სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდი: 29.13.01.509. რომელიც დავით აღმაშენებელის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან დაშორებულია 13200 მეტრით. ასევე წერილზე დანართის სახით წარმოგიდგენთ ნაგავსაყრელის ოპერირების გეგმას.

დანართი: 49 ფურცელი (ნაგავსაყრელის ოპერირების გეგმა)

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი

N 544
12/07/2019

544-1-2-201907120949

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“
დირექტორს ბატონ გიორგი შუხოშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2019 წლის 2 ივლისის N04/286 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ნაგავსაყრელის ოპერირების გეგმის პირობების გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 29.13.01.509 დასაშვებია არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ კოპიტნარის აეროდრომის შემოგარენის მუდმივი მონიტორინგის პროცესში საფრთხეების გამოვლენის შემთხვევაში, საქართველოს საჰაერო კოდექსის მუხლი 41-ის მე-2 პუნქტის თანახმად, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ იტოვებს უფლებას იმერეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის ოპერატორისგან მოითხოვოს დამატებითი ღონისძიებების გატარება საფრთხეების შემცირების მიზნით.

პატივისცემით,

გიორგი ჩოგოვაძე

დირექტორი


ქ.თბილისი 0158; სამგორის რ-ნი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი 0158, AIRPORT, TBILISI, GEORGIA +995 32 2 48 73 00 info@airports.ge

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 18727/1
26/11/2021

18727-1-2-202111261835

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“
დირექტორ გიორგი შუხოშვილს

ბატონო გიორგი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ მიმდინარე წლის 17 ნოემბერს შემოსულია თქვენი №04/425 (კომპანიაში რეგისტრირებული №1/31956) წერილი, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს.

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაკვეთით, კონტრაქტორი ორგანიზაცია შპს „ლ და კ“, №T-122902 ხელშეკრულების ფარგლებში, აწარმოებს „ფარცხანაყანევისა და მუხიანის მაგისტრალურ მილსადენებზე მიერთებული აბონენტების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის“ საპროექტო - სამშენებლო სამუშაოებს, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი სოფლების რეაბილიტაცია: ფარცხანაყანევი, ოფშკვითი, უკანეთი, ბროწეულა და მესხეთი. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებს ფარცხანაყანევისა და მუხიანის მაგისტრალურ მილსადენებზე თვითნებური დაერთებების ჩაჭრასა და ცენტრალიზებული წყალმომარაგების ქსელის მოწყობას. სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2022 წლის ოქტომბერში.

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ დაგეგმილი აქვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ფარცხანაყანევის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა.

დანართის სახით გიგზავნით წყალმომარაგების გეგმას.

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში


294000 295500 297000 298500 300000 301500 303000 304500 306000 307500 309000
4679000 4677500 4676000 4674500 4673000 4671500 4670000
ფარცხანაყანევი
მესხეთი
ბროწეულა
უკუნეთი
ოფშკვითი
ფარცხანაყანევის საპროექტო წყალმომარაგების სარეაბილიტაციო ქსელის საორიენტაციო სიგრძე 29 კმ
წყალმომარაგების არსებული გასაუქმებელი D=600 მმ მილი
მუხიანის D=1000 მმ მაგისტრალური მილსადენი
მუხიანის D=1000 მმ მაგისტრალური მილსადენის სარეაბილიტაციო მონაკვეთი L=420 მ
ახალი რეაბილიტირებული ქსელი
ფარცხანაყანევის D=1200 მმ მაგისტრალური მილი
მუხიანის D=1000 მმ მაგისტრალურ მილზე დაერთებული სარეაბილიტაციო ქსელი საორიენტაციო სიგრძე - 12 კმ
ფარცხანაყანევის მაგისტრალური მილის პარალელური საპროექტო დამხარჯი მილი საორიენტაციო სიგრძე - 3.4 კმ
0 1.5 3 4.5 KM

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 18531/1
24/11/2021

18531-1-2-202111241555

SOUNDETS GROUP - ის დირექტორს
ბატონ ვლადიმერ შონიას

ბატონო ვლადიმერ,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ განიხილა თქვენი მ/წლის 7 ოქტომბრის №SWMP I - 2102 წერილი, ,,ქუთაისის რეგიონში ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა I” - ის დეტალური საპროექტო სამუშაოებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებასთან დაკავშირებით წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ადგილმდებარეობის დაზუსტების შესახებ.

თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას გიგზავნით დანართის სახით. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და დეტალების ადგილზე დასაზუსტებლად უნდა მიმართოთ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქ. ქუთაისის ფილიალს.
საკონტაქტო ტელ: **577 38 13 02 მალხაზ გუნიავა** - ტექნიკური სამსახურის უფროსი.
**იხ. დანართი:** სიტუაციური ნახაზი;
ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში


N
1:11,997
Kutaisi
950
600
50
50
89
ბროწეულის დასახელება
1000
1150
29.13.36.185
Buffer 1000 m
50
80
1450
50
25
Sewage
Sewer well
Water pipe
The well
Road
Building
River
Reservoir
Bolt

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 ტ: (+995 32) 2 244 040 ფ: (+995 32) 2 244 041 ე: public@gogc.ge www.gogc.ge
A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway T: (+995 32) 2 244 040 F: (+995 32) 2 244 041 M: public@gogc.ge www.gogc.ge

№ LE121021/02-03 „12" 10 2021 წ

Sounders Group-ის დირექტორებს

ბატონ ვლადიმერ შონიას და

ბატონ ენდრიუ ვებს

ბატონებო,

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" განიხილა თქვენი 2021 წლის 07 ოქტომბრის №SWMP I-2014 (ჩვენი ნომერი LE071024-3) წერილი, რომელიც ეხება „ქუთაისის რეგიონში ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა I"-ის დეტალურ საპროექტო სამუშაოებსა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენი ინტერესის არეალში ფიქსირდება მაგისტრალური გაზსადენები, გაზსადენების არსებობიდან გამომდინარე კი მიწის ნაკვეთზე (ს/კ 29.13.36.185) ვრცელდება „მაგისტრალური მილსადენების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები და რეგულირების პირობები.

დანართის სახით გიგზავნით თქვენ ნაკვეთთან 1 კმ-ის რადიუსში არსებული მაგისტრალური გაზსადენების სქემას და გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ზემოაღნიშნულ არეალში არ იგეგმება ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

დამატებით ასევე გაცნობებთ, რომ ხსენებულ ნაკვეთში შენობების და/ან ნაგებობის განთავსების ნებართვასთან/თანხმობასთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოთ მაგისტრალური გაზსადენების ოპერატორს, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას", ამავდროულად „ქუთაისის რეგიონში ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა I"-ის დეტალური პროექტის დამუშავების პროცესში კი გათვალისწინებულ უნდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები და რეგულირების პირობები.

დანართი: 1 CD.

პატივისცემით,

არჩილ დეკანოსიძე

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 ტ: (+995 32) 2 244 040 ფ: (+995 32) 2 244 041 ე: public@gogc.ge www.gogc.ge
A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway T: (+995 32) 2 244 040 F: (+995 32) 2 244 041 M: public@gogc.ge www.gogc.ge

№ LE121021/02-03 „12" 10 2021 წ

Sounders Group-ის დირექტორებს

ბატონ ვლადიმერ შონიას და

ბატონ ენდრიუ ვებს

ბატონებო,

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" განიხილა თქვენი 2021 წლის 07 ოქტომბრის №SWMP I-2014 (ჩვენი ნომერი LE071024-3) წერილი, რომელიც ეხება „ქუთაისის რეგიონში ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა I"-ის დეტალურ საპროექტო სამუშაოებსა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენი ინტერესის არეალში ფიქსირდება მაგისტრალური გაზსადენები, გაზსადენების არსებობიდან გამომდინარე კი მიწის ნაკვეთზე (ს/კ 29.13.36.185) ვრცელდება „მაგისტრალური მილსადენების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები და რეგულირების პირობები.

დანართის სახით გიგზავნით თქვენ ნაკვეთთან 1 კმ-ის რადიუსში არსებული მაგისტრალური გაზსადენების სქემას და გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ზემოაღნიშნულ არეალში არ იგეგმება ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

დამატებით ასევე გაცნობებთ, რომ ხსენებულ ნაკვეთში შენობების და/ან ნაგებობის განთავსების ნებართვასთან/თანხმობასთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოთ მაგისტრალური გაზსადენების ოპერატორს, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას", ამავდროულად „ქუთაისის რეგიონში ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა I"-ის დეტალური პროექტის დამუშავების პროცესში კი გათვალისწინებულ უნდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები და რეგულირების პირობები.

დანართი: 1 CD.

პატივისცემით,

არჩილ დეკანოსიძე

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

 სილქნეტი
SILKNET

№ 4483/24-8

„13" 10 2021

"SOUNDERS GROUP"-ის დირექტორს
ბატონ ვლადიმერ შონიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენგან შემოსული წერილის (#SWMP 1-2103; 7/10/2021წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქუთაისის რეგიონში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 29.13.36.185 და მის გარშემო 1 კმ-ში არ გადის სს „სილქნეტის" კომუნიკაციები.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდება სს „სილქნეტის" კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში" შეთანხმების მისაღებად.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: ( +995 32) 2 100000; Fax: ( +995 32) 2 100001

O-SOR-T-LT-2021-10-8/094377477

SOCAR
SAKORGGAZI

SAKORGGAZI JSC
13, Kiziki str. Tbilisi, Georgia, 0182

Tell: (+995 32) 243 92 75
E-mail :sakorggazi@socar.ge
www.socar.ge

CDM Smith Europe CmbH (გერმანია)

SAUNDERS GROUP (საქართველო)

დირექტორებს: ბ-ნ ვლადიმერ შონიას

ბ-ნ ენდრიუ ვების

07.10.2021 წ. #I-SGG-K-LT-2021-10-7/33 წერილის პასუხად

№ O-SOR-T-LT-2021-10-8/09 08.10.2021

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკადასტრო 29.13.36.185 კოდით მინიშნებული ტერიტორიიდან (მის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხიანი) 800 მეტრის რადიუსში გადის კომპანიის საკუთრებაში არსებული საშუალო წნევის პოლიეთილენის გაზსადენი.

პატივისცემით ,

იმერეთის რეგიონალური ოფისის წარმომადგენელი
თეიმურაზ ხვინგია

შპს "მაგთიკომი"
№ ED-21/10/13-007
13-10-2021წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

**სს ,,სონდერს გრუპი''-ს დირექტორს**
**ბატონ ვლადიმერ შონიას**

**ბატონო ვლადიმერ,**

თქვენი 2021 წლის 7 ოქტომბრის NSWMP I-2105 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ ტერიტორიაზე და მის გარშემო 1 კმ-ის რადიუსში (წყალტუბოს რაიონი, სოფელი მუხიანი, ს/კ 29.13.36.185) არ გადის შპს ,,მაგთიკომის'' საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

--------------------------------
/ნოდარ ბაღათურია/

საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. N7 / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
დოკუმენტის ნომერი: 211013010



Digitally signed by MagtiCom LLC
2021.10.13 14:01:05 +0400

ENERGO-PRO

ENERGO-PRO GEORGIA
WEST GEORGIA CENTRAL BRANCH
3 Nikea street, 4 lane
4600 Kutaisi, Georgia

ს ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია''
დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი
ნიკეას ქ. მე-3 ჩიხი N 4
4600 ქუთაისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი
O.№ 51832506
„15" 10 2021
JSC ENERGO-PRO GEORGIA
WEST GEORGIA CENTRAL BRANCH

კომპანია ,,სანდერს
გრუპის"ხელმძღვანელს
ბ-ნ ვლადიმერ შონიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი №SWMPI-2101 07.10.21 განცხადების (შემოსულის №8819571) პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მინიშნებულ საკადასტრო კოდ 29.13.36.185-იდან 400 მეტრში გადის 110 კვ-იანი გადამცემი ხაზი.

პატივისცემით,
ფილიალის დირექტორი
ედიშერ ნუცუბიძე

შემსრულებელი
მირზა წაქაძე ტელ. 577356001


N5
N4
110კვ-ის ს.ე.გ.ხაზი ,,მუხიანი კაჭარი"
N3
367 მეტრი
381 მეტრი
318 მეტრი
N2
110კვ-ის ანძები N1
NAPR
ობიექტი ს/კოდი:29.13.36.185
100 m
200 ft
42.64465, 42.19503

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3870
27/10/2021

3870-21-2-202110271326

SOUNDERS GROUP-ის დირექტორს
ბატონ **ვლადიმერ შონიას**

**ბატონო ვლადიმერ,**

თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის #SWMP I-2113 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „ქუთაისის რეგიონში ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა I"- ის ფარგლებში დეტალური სამუშაოების და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსამზადებლად იმერეთის მხარის GIS ინფორმაციის, რელიეფის სასიმაღლო იზოხაზების და DEM-ის (ციფრული სასიმაღლო მოდელი), მოწოდებას, გაცნობებთ, რომ სააგენტო არ ფლობს მსგავსი ტიპის ინფორმაციას.

პატივისცემით,

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-01/17935
29/10/2021

17935-2-01-2-202110291037

შპს „SAUNDERS GROUP“-ის დირექტორებს

**ბატონ ვლადიმერ შონიას**

**ბატონ ენდრიუ ვების**

ელ-ფოსტა: tamari@sggeorgia.com

მობ: +995 591 045796

**ბატონებო,**

თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის #SWMP I - 2109 (კანც. #33828/2) წერილის პასუხად, რომელიც ეხება GIS ინფორმაციის მიწოდების საკითხს იმერეთის რეგიონში შემავალი საგზაო ქსელის შესახებ, დანართის სახით (Shapefile-ის ფორმატში) გაწვდით ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს, ზემოაღნიშნულ რეგიონში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის შესახებ.

დანართი: „დაარქივებული rar ფაილი“

პატივისცემით,

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990110647071421

**№10/4212** **05 / ნოემბერი / 2021 წ.**

პროექტის იმპლენტაციის კონსორციუმს
SOUNDERS GROUP-ს
(ელ.ფოსტა:tamari@sggeorgia.com)

სიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის N SWMP I - 2107 კორესპონდენციის პასუხად, რომელშიც ითხოვთ იმერეთის სოფელ მუხიანში ს.კ. 29.13.36.185-ის გარშემო 1 კმ-ის რადიუსში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს/ობიექტებს Shape ფაილი სახით, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტები არ ფიქსირდება.

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი